

# კარიბუს

## იულიანი გერმანი


### შედეგი № 9

27 თებერვალი, 1911 წ. ფასი 10 კაპ

ეოგ გელ პირე ეული - გამოცემა

ტეკსტი „სავარაულო“

1173



დიდებული საქმე იყო  
ეგ, უურულის გაღმოფრენა...  
ბათუმიდან თფილისამდე  
მანძილია რამდენა!!

მაგრამ დახეთ... დაჯდომისას  
წახდა ცენზი საარჩევნო...  
პირველ ჯილდოს მიიღებდა  
დედინაცვალს რომ არ ევნო. — კი.

ՀԱՅՈՑ ԹԵՐՅՈՒԴԱ...

ରାରୀଗାତ ମିନଦା, ହିସା ସିର୍ପୁଗାସା  
ହେତୁ ଗାୟପ୍ରେସନ୍ଦେ ରାଗନ୍ତରମ୍ଭ ତାନ୍ତା,  
ରାମ ତାବେ-ଘନ୍ତବ୍ଦିତ ତୁଳନ୍ତୁଲି ଉଚ୍ଛମ୍ଭେ,  
ରାଜୁଫନ୍ଦିଲାଙ୍କ ଗାମନମ୍ଭେଯାନ୍ତା?  
ଗାମ୍ଭେଗ ହୃତି: ଇଲ୍ଲା ଲାଗୁ କ୍ରମକଳ  
ରାଗନ୍ତର୍ପ ହେ ବନ୍ଦାଖ୍ୟ ପା ଲା କ୍ଷେତ୍ରାନ୍ତା!?  
ହେତୁ ହେ ଶ୍ଵରପଦୋ; ଏହି ଲେ ହେତୁ ହେତୁଲା...  
ହୃତାତ ହେତୁଲା ହେ ଗାମନପାନ୍ତା.  
ପିଠିରୀ ଲେବିନ୍ଦିଶା ଶମଦି, ବୀତ ଲାମ୍ଭେ ଧର୍ମେଶ  
ଏହି ଅନ୍ତର୍ମାଣକିମ୍ବା ବୀତ କ୍ଷେତ୍ରା ସାର୍ବାନ୍ତା,  
ମାରୁପାଲିମ୍ବା ମୁହିସ୍ଵେ ମନ୍ଦଗୁପା ତାବତାଵୀ  
ତୁ ଲମ୍ବାପ୍ରକର୍ଣ୍ଣଦା ଲେ ତାନ୍ତରାତାନ୍ତା...  
ମଧ୍ୟଦାରମା ହୃତରମିଶ୍ରା ପ୍ରକଳ୍ପାଲି ଶାଖ୍ୟ,  
ତୁ ମୁଦରାମ ଶୁଭେତ୍ରେ ଲେଗି ମାତାନ୍ତା,  
ଗାୟପ୍ରେସ ପ୍ରେଲା, ଦେଖରୀ ରାମ ଗ୍ରେଟକ୍ଷେ  
ଲ୍ଲା ହୃତି ଆଶରୀ ଗମିଲାଗ୍ନତୁରାନ୍ତା.

შეკრს უუამბობდი დატანჯულ ძმას,  
გავაგონებდი დამარხულ მცნებას,  
დაკანახვებდი დაკარგულ გზასა  
კყლავ აღვუგზნებდი ჩაქრალს ოცნებას  
მაგრამ რავული ამ უძლოურ სიტყვას  
უნიფორ საგანს, ხელ უხლებელსა  
ის ვერ აღადგენს იმის წინ იმედს  
სულს ვერ ჩაუდგამს გამოცემლებელსა  
რო სრულ ქმნას ჩემი გულის ზრახვან  
უცეცხლო სიტყვა არ ძალუს განა  
და არცა მჟერა, როცა მე თვითონ  
არ შემიძლია გავყვე მას თანა,  
ან დანაშაულს ნეტავ, იხსნიდეს  
პილატესაებრ ხელის დაბანა...

ერთი რამ მხოლოდ მაღალებს, ძმაო,  
რომ ერთმა დედამ წარმოგვშვა ჩვენა  
ერთი ტკიფილი ერთ აზრს გვიბადებს  
და შიტომ გვესმის ერთურთის ენა;  
როცა გიამბობ ამით ვიმედობ  
შენც ასე გვესმის, არა ვარ მარტო,  
გულით ერთი ვართ და ერთსა ვფიქრობთ  
მხოლოდ სიტყვებით მინდა განვმარტო.

### 8. ତୁର୍ମର୍ଦ୍ଦିଶ୍ଵାଳୀ



ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣପଦ

**ბანდა** მოუხედავათ იმისა, რომ სამყითხველოსა  
და ტელეგრაფისათვის ფული შეგროვილია, ამ კა-  
წესებულებათა მოლოდინში კიდევ ორ-სამ თაობას  
ამოხდება თურქე სული.

**იქიდანვე.** საუცხოვო ყოფა ქცევისათვის აღგრ-  
ლობრივი სკოლის ზედმეტელველი გადაჲყავთ ნეტარ  
ხსენებულ სპირდონ ენგურიძის მრევლში.

ასკილი.

**ଲ୍ୟାଙ୍କେବାଡ଼ିନ୍ଦା**. ମ. ଓ. ଏହାମିବାନ୍ ପ୍ରିସ ନେଇଖିବମ୍ବା  
ତାଙ୍ଗି ଲାବନ୍ଦେଶ୍ ଶିନ୍ବାନ୍ତର ଅତୀକାହିଁ ଲାବାରିସେବାସ. ତୁମପ୍ରା  
ତିରନ୍ଦମ୍ବେଦି ଆର୍ଥାନ୍ତ୍ରେଲ ପ୍ରିୟ-ପ୍ରକ୍ଷେଳନ୍ଦ୍ରିୟରେ ଲାବାରିସ୍  
ମର୍ଦ୍ଦେଶ୍ ଲେନ୍ଦରା ଗିରିଯେ, ମାଗରୀଥ ଧନ୍-ନ ଜ. ଫ୍ରାଣ୍ଲାନ୍ଦରେ  
ଲାବାରିସ୍ ଲାବାରିନ୍ଦା „ଶିନ୍ବାନ୍ତର୍ଲେଶି“: ଏହାମିବାନ୍ ପ୍ରମା ମଲ୍ଲବିନ୍ ପ୍ରିୟ-  
ପ୍ରକ୍ଷେଳନ୍ଦ୍ରିୟରେ ଲାବାରିସ୍ ଲାବାରିନ୍ଦା ଏହାମିବାନ୍ ପ୍ରମା  
ନେଇଖିବମ୍ବାର ଲାବାରିନ୍ଦା ଦେଖିଲୁଗିବି ଶିନ୍ବାନ୍ତର୍ଲେଶିବି.

იანეთი უნდა მოგასცენოთ. რომ აქ ძლიერ საჭიროა ერთი მახვი. წინააღმდეგ შემთხვევაში ბ-ნი ბესა-რიონ დარაჯადა.

სამი თვეის ჯამაგირი უკეთ პიონ და ახლა

ერთი სიტყვით<sup>1)</sup> არ გამოითქმება ყველაზე ლავ

და ამიტომაც ნუ  
მოიძულებთ ამ უპატრიონო სოფელს.  
**იქიდანვე.** გამოწერილია სამი გაწროვნილი პოლი-  
ციელი ძალი, რომ აღმართინონ ადგილობრივი  
სკოლის მშრალებელები. წარმოიდგინეთ სკოლაში  
მზიან დღეშიაც ჩამოდის წევითა, არა თუ წევითანში  
და ისინი ყურებდა(არ ანძროვნი<sup>2</sup>).

მასწავლებლებიც გულზე ხელ დაკრეფილნი სხედან, რაგან

ပိမိနာရာ.

<sup>1)</sup> და სამოცი წერტილით.

३८८-

<sup>2)</sup> ვინ ისის, იქნებ დილი ყურადღი აქვთ! ყოველგვარი ყურის დაწმენება ადვილი ი საქმე კი არ. რის!

ગ્રંથકુ.

# უცნერებელი

## გდგომარეობა.

19 თებერვალი.

მე ჩემთვის ვიჯექ...

არც კი ვფიქრობდი:  
თავისუფალი, თუ ბედის მონა.

ეშმაკი ვიყავ,  
კარგათ ვიცოდი...  
გლეხიც თუ ვიყავ,  
ალარ მეგონა.

უცებ, გაიღო მახისა კარი  
და შემოვიდა ჩემთან სტუმარი.

მე ახლად მოსულს  
მივეხმატებილე...  
(გვერდებში მუშტი არ ჩავაზილე,  
როგორც იციან  
ზოგიერთებმა,  
წეს რიგისათვის  
განაღმერთებმა)  
სტუმარმაც ბევრი არ დააყონა  
და ხმა საამო  
გამომაგონა:

— მსურდა გამეგო: ვისთან მაქვს საქმე?  
(კორა არ იყოს შევშინდი აქ მე).

გლეხი ბრძანდებით,  
თუ აზნაური,  
რომ თქვენს უურნალში  
არ უგდეთ ყური  
დიად დღეობას  
თავისუფლების,  
გლეხთა აღდგენის და აღმარების!?

— მე ეშმაკი ვარ...  
(პასუხად ვკადრე)  
ამაზე ჩვენც კი ვიუიქრეთ ადრე,  
მაგრამ...

— მაგრამ რა?  
სიტყვა შემოგელია?  
ნუ თუ მწერლობა ეგზომ ძნელია!?  
თავისუფლება  
მისთვის გიბოძეს,  
რომ ღირსეულად მოიხმაროთ ეს.  
განა არა ხარ თავისუფალი!?

— ამა რას ბძნებთ,  
ღმერთო მომჟალი!!!  
თავისუფლები როგორ არა ვართ,  
მაგრამ...

— მაგრამ რა?  
მიკვირს რას მალავ...  
რატომ არ ამხელ  
დარდებს აბდალავ?  
წერა ხომ იცი და მეტყველება,  
მაშ ლაპარაკი რათ გეძნელება?

— რა მოგახსენოთ,  
ბატონო ჩემო...  
სჩანს „სტატიების“  
არ იცით გემო.  
თავისუფლები ვართ, რა თქმა უნდა,  
გლეხების ბედიც კი გადაბრუნდა,  
მაგრამ...

— ოჟ ღმერთო!  
რა გვაროთებათ  
ყოველ სიტყვაზე ენა გებმებათ?..  
ბლუ ხომ არა ხართ  
თქვენ კურთხეულო...  
სიჯილტეა ეგ უჩვეულო.

— თქვენა გგონიათ  
სიმუნჯე გვიშლია?..  
თქვენ „ბოეტი“ ხართ  
ალბათ წმინდა წყლია!!!  
ენა მეტიც გვაქვს  
ვიდრე გვჭირია,  
მაგრამ...

— რა მაგრამ აგიხირია!..  
ნუ თუ ამ უამიად არრა გჭირია?  
და თუ გჭირია  
ან შენ, ან სხვასა,  
მაშ რათ არ იღებ მაგ ცოდვილ ხმასა?

— ხმის ამოღება  
მართლაც კარგია,  
თუ შენი სიტყვა ვისმე არგია,.  
თუ იტყვი იმას,  
რისი თქმაც გინდა  
და ნატვრა, ნატვრათა რგაგიფრინდა...  
თუ იტყვი იმას  
რაც გულს გიდაგავს  
მაგრამ...

— რა იყო?  
მითხარ რასა ვავს  
ეგ მოკრძალება, ეგ მორიდება?

თქვენ მანიუესტით  
ხომ კი გაქვთ ნება  
გამოსთქვათ ყველა  
გულის ნადები,  
გულის ტკივილი,  
გულის დარდები?  
მაშ არ ყოფილხართ თავისუფალი  
თუ ენა მუნჯობს  
და ბეცობს თვალი!

— ვინ? ჩვენ არა ვათ თავისუფლები?  
ამ საარაკოს რას მეუბნები!!!  
ჩვენ სუსველაფრის  
თქმისა გვაქვს ნება,  
უმთავრეს კითხვებს რაც შეეხება.  
აი თუნდ, გზების გაკეთებაზე,  
მაწონის კარგათ შედედებაზე,  
წყლის დაწმენდაზე, მოღულებაზე,  
თუნდაც ვირთხების  
შეწუხებაზე,  
თოვლის მოსვლაზე და დაღნობაზე,  
კარტის და ნარდის თამაშობაზე,  
ხორცის სიძვირის გაღატანაზე,  
ლობიოსა და ხახვის ჭამაზე...  
ჩვენ შეგვიძლია ვიქონიოთ სჯა:  
როდის იქნება, ვთქვათ.  
კახეთის გზა,  
რისთვის ხდებიან ხოლერით ავად,  
ვის აირჩევენ ქუთაისს თავად.  
რომელი გითხრა,  
ბატონო ჩემო,  
რომ „სტატიისა“ არ ქონდეს გემო,  
მაგრამ...

— ა კიდევ!  
მაკვირვებთ სწორეთ,  
ნუ თუ ეს „მაგრამ“  
ვერ მოიშორეთ?  
კაცო, გლეხები თავისუფალ ყვეს  
ორმოცდა ათ წლის  
წინეთ იყო ეს,  
ჩამოაშორეს...  
— ეჲ, ვიცი, ვიცი,  
აბა რათ გინდათ ამაზე ფიცი:  
თავისუფალ-ყვეს  
ჩამოაშორეს,  
მაგრამ...

მუსიკა.  
(გუძღვია მ. ბულაქეს).

მოხტის  
წყარო  
შალალ მთის,  
თრთის  
სამყარო  
— ვიშ, ვიშ, ვიშ!..  
ის,  
ჭალაკებს  
ჩაუდის,  
მირაკრაკებს  
— კის, კის, კის!...  
კდება მოსილს,  
ნაზად შლილს,  
ველის კვავილს  
უტებობს ძილს...

ცრემლთა მარგალიტ მძივებს,  
ვერცხლებრ მოაკმარებს;  
შესტრფის გიუმაჟ მზის სხივებს  
ცხოველ ვნებით ციმციმებს...

ქველთა რხევით,  
სრიალით,  
ცვართა ფრქვევით,  
ციალით  
ხტის,  
რბის  
თავჭვე ტრიალით,  
მღერის,  
ქლერის  
წკრიალით...

მიყვარს ეს ხმა,  
რაკრაკის;  
ქებათ შესხმა  
მუსიკის...

მაშ, იხარეთ...  
— კის, კის, კის...  
ინეტარეთ ...  
— ვიშ, ვიშ, ვიშ ...

გ. ქუჩიშვილი

ეშჩაკი.



## მოხსენება კვინწარისა.

თქვენი მაღალ უშმაკეულესობავ, დი-  
დო მთავარო ჯოჯოხეთისა, მცყრობელო  
ეშმაკის მაჩისა და სხვათა და სხვათ!

უუუდიდესი სიხარულით უნდა გაუწყოთ, რომ  
ჩემდამი რწმუნებული საწყისო უკე გამოფხზლდა  
და უეუდგა საჯოჯოხეთო საქმეთ კეთებას. რა  
თქმა უნდა, ეს გარემოება ფრიად სისიამოვნო იქ-  
ნება თქვენი მაღალ-უკემულესობისათვის. „საქმის  
კეთების“ დაწყებით მეც საშეალება მეძლევა გიგზა-  
ვნით მოხსენებანი და ვიცი, რომ ესეც სიამოვნე-  
ბით ჩაგაცინებთ თქვენ ქვემორე ეშმაკეულისა თქვენი  
ულვაშებისა. მაშ დავიწყოთ.

ბათუმსა შინა გახლავთ ქალაქის მიერ გახსნი-  
ლი სკოლა მუსულმან ბავშვებისათვის; მუსულმან  
ბავშვებისათვის მეთქი მიტომ ვამბობ, რომ ოფიცი-  
ალურად ამ სკოლას „მუსულმანების სკოლა“ ეწო-  
დება, ნამდვილათ კი, ეს სკოლა არის სკოლა ქარ-  
თველ მაჰმადინ ბავშვებისათვის. უწევნითა ერთო  
რაღაცა გარემოებისათა ამ სკოლაში გახსნა ვაკან-  
სია მასწავლებლის ადგილისა, და ხომ გოგისენებათ,  
სადაც ვაკანსია იხსნება, იქ კანდიდატები მრავლის  
უმრავლესად იყრიან თავსა. ამ ვაკანსის გარემოც  
შემოკრებენ მრავალნი თავნი, ზოგნი ტვინიანნი და  
ზოგნიც მოკლებულნი ამა ნივთიერებასა. და უეიქნა  
„ჯახი“, „ჯახი“ ნამდვილ საჯოჯხეთო და მაშასადა-  
მე, სასიამოვნო ყოველთა ეშმაკა და დამღლებელი  
არა ეშმაკეულ სულთა. ქალაქის სკოლის მასწავლე  
ბლებს, რომელთა უმრავლესობა ბახვის წყალში  
თუ არა, ჭირობში მაინც არის გაღასაყრელი,  
აქვთ ერთგვარი ავტონომია: მათ შეუძლიათ არჩიონ  
კანდიდატები და წარუდგინონ ის დასამტკიცებლად  
ქალაქის სასკოლო კომისიას. ბოროტი ენები ამბო-  
ბენ, რომ ყოველ მასწავლებელს თითო კანდიდატი მა-  
ინც ყავდა, თუ არა მაგრამ,— განაგრძნობენ  
იგივე ბოროტი ენები,— როგორც იქნა, ერთ კანდი-  
დატებ შეჩერდენო და წარადგინეს ის დასამტკიცე-  
ბლათო.

მარა აქ მოხდა, თურმე, ერთი საყურადღებო  
გარემოება. ერთს ახალგაზრდა ქალს მოეწადინა  
სსენებული სკოლის მასწავლებლობა. ამასთან ეს  
ქალი,—ან, როგორც აქ ეწოდება გაუთხოვარ  
ასულს, ქალი-შვილი,— დარწმუნებული ყოფილა,  
რომ ის ყველა კანდიდატებზე ნაკლები ლირსებისაა..  
უკეთ რომ ესთქვათ, შეიძლება ის თოთონ არ იყო

ამაში დარწმუნებული, მარა დანამდვილებით შეიძ-  
ლება იქთქვას, რომ ამაში იყო და არის დარწმუ-  
ნებული ყველა, ვინც იცის ისტორია ესე. პო და  
რაკი ისე ქანდრაუელათ იყო საქმე, საქირო იყო  
ამუშავება ისეთ გამოქნილ მანქანისა, რომელსაც  
შესძლებოდა უარესის უპირველეს რიგში მოქცევა.  
საჯოჯოხეთო არ იქნებოდა ეს ამბავი და არც მე  
უევიწუხებდი ამ მოხსენების დასაწერად თავსა, რომ  
ეს სწორეთ ისე არ მომხდარიყო.

აბა იმისი თქმა რა საქიროა, რომ ყოველ კან-  
დიდატს ყავს თავისი მომხრები, ნათესავები და  
სხვა ამგვარი. ხსენებულ ქალიშვილსაც ყავს ასეთები  
და დაფაურუდენ ეს „ასეთები“... ამას ეცენ, იმას  
ეცეს და ბოლოს ეცენ გავლენიან მუსულმანებს:—  
აბა, ასე და ასე საქმე და განაცხადეთ თქვენ, რომ  
სკოლაში საჭიროა ქალი მასწავლებელი და არა  
კაცი. თუ ქალი იქნება, თქვენ დიდი მოხარული  
იქნებით და სხვა... .

— რას ამბობთ, კო! ? — გაოცდენ მუსულმანები...  
ქალს ჩენ ჩადრებში ვბურავთ, რომ სხვას არ დაე-  
ნახოს და აბა ქალის მასწავლებლობა რათ გვინდა! .

როგორც იყო დაითანხმეს და ქალაქის გამგეო-  
ბაში წარმოდგა „სურვილი მუსულმანებისა“: დაგვი-  
ნიშნეთ მასწავლებელი ქალი, თუ გინდათ რომ  
სკოლაში ბავშვები შეეყიყანოთ, თუ არა და იქ  
ერთ ბავშვსაც ვერ ნახათ მუსულმანსო. ექვე ური-  
გო არ იქნება ამ სასიამოვნო სურათის უფრო  
გასიამოვნებლათ ისიც დავინოთ, რომ „მუსულ-  
მანები“ აქ არაფერ შეუაშა. ასეთი პირი ბარე თრი-  
სმი გამონახს და აალაპარაკეს მუსულმანების სა-  
ხელით. განცხადება მუსულმანებისა ყურადღებულ  
იქმნა და ფიცხელი განკარგულება მიეცა მასწავლე-  
ბლებს, აერჩიათ უსათუოთ ქალი.

მარა საეშმაკო საქმეს ამანაც ვერ უშველა. მთხოვნელთა შორის ალმოჩნდენ ისეთი ქალები, რომლებიც ყველა ერთად და თითეული ცალ-ცალ-  
კე უკეთესი მასწავლებლები იქნებოდენ, ვინემ ის  
ერთი ქალიშვლი. მასწავლებლებმა არჩიეს სანიმუ-  
შო გაკვეთილის საშეალებით არჩევა მასწავლებ-  
ლისა, და დადგენილება ესე ეცნობა სასკოლო  
კომისიას

სანიმუშო გაკვეთილის მიცემა ხომ ხეირს არ  
დააყრიდა ქალიშვილსა იმას. და უეიქნა ახლა ჯა-  
ნი მეორე რიგისა, ე. ი მონადირება სასკოლო  
კომისიის წევრთა. თუ რა მოხდა აქ დასმულ წერ-  
ტილიდან, კომისიის სხდომადე, ამაზე ისტორია  
პირაკრულია. ხოლო რაც კომისიის სხდომაზე მოხ-

და, ეს უკვე შეტანილია ისტორიაში შთამომავლით—  
ბის გადასაცემათ.

აქ ცოტა გადაუხვროთ და საქმის უფრო ნა-  
თელ-საყოფად მოვიყენოთ „სპრავკა.“

„სპრავკა“ ესე იუწყება შემდეგს: ქალიშვილსა  
დასრულებული აქვს გიმნაზიის შვილი კლასი და,  
მაშასადამე, არ ქონია დასრულებული შერვე, პედა-  
გოგიური კლასი. ეს, რა თქმა უნდა, პლიუსია, მა-  
რა პლიუსი საჯოჯოხეთო. გარდა ამისა, ქალიშვილ-  
სა მას არა აქვს არავითარი პედაგოგიური გამოც-  
დილება. ესეც ჩემი ეშმაკო პლიუსია, რა თქმა  
უნდა, ეშმაკური პლიუსი. ამას გარდა მე კიდევ აქ  
ერთს აზრს მოვიყან, რომელსაც შეიძლება არ და-  
უთანამონ ეშმაკები, მარა არა ეშმაკები კი დაე-  
თანხმებინ მგონია. მე ვფიქრობ, რომ გიმნაზია  
დასრულებული ქალიშვილი ვერაფერი მასწავლე-  
ბელი არიან. დალოცვილებმა ქართული არ იცი-  
ან, რუსული არ იციან, თათრული არ იციან, ფრან-  
გული არ იციან, არც ნერეცური და წარმოიდგი-  
ნეთ—არც მეგრული სწავლება არ იციან, ახსნა  
არ იციან (ახსნა რა თქმა უნდა გაკვეთილისა). კუ-  
დის ქნევა კი იციან, მარა მასწავლებლობაში ეს არ  
გამოდგება მგონია.

კანლიდატებში კი იყვნენ ისეთები, რომელიც  
მართლა კარგი მასწავლებები იქნებოდენ...

მარა დაუბრუნდეთ საკოლონ კომისიის სხდო-  
მას, ორიოდე სიტყვა კომისიის შემაღებლობაზე.  
კომისიის წევრია ცნობილი ხმოსანი მავროპული,  
რომელმაც ირკუტსკში არ არსებული უნივერსიტე-  
ტი არსებულად გამოაცხადა და რომელსაც პედა-  
გოგია ისე ესმის, როგორც ჩინური ენა. კომისიის  
წევრია ორი შეანტალი თათარი. მე იმ აზრის ვარ,  
რომ არც მათ უნდა ესმოდეთ რამე პედაგოგისა,  
თუმცა მათი აზრი პედაგოგის შესახებ არ მომის-  
მენია. საბჭოს 400 სხდომაზე მათგან  $\frac{1}{1}$  „ ცალი  
სიტყვისა არ გამიგონა. არიან სხვებიც, რომელთა  
შორის ერთი ნაპედაგოგარია, სახელმობრ ს. მლიგა-  
ნი, მარა ეს ვაჟი ისეთი თვისებისაა, რომ უნდა—  
ზემოთ მოხსენებულ ორ შეანტალ თათრად იქცევა,  
უნდა და—ორჯერ ორის ექვსად გარდაქმნის მამტკი-  
ცებლად.

ჴო და წარსდგა კითვა ესე ასეთს კომისიაში.  
— რაკი მუსულმანებს სწადიათ, დაენიშნოთ ქალი, სა-  
ნიმუშო გაკვეთილებს თვეი დავანებოთო. იყო იქ ასე-  
თი დაღადი — კარგი და პატიოსანი, დავნიშნოთ ქა-  
ლი, მარა აქ ბევრი ქალია მთხოვნელი. — სოჭვა თავ-  
მჯდომარემ, ბ-ნმა უურულმა, რომლის საუცხოო


თვისება ის არის, რომ ცვალებადია, ვით დღე მარ-  
ტისა და მოქნილი, ვით ს ნოელი. რა მხარესაც  
შეუთბობთ, იქით გადაიხრება — რაღა ბევრი გავაგ-  
რელოთ, ვუყაროთ კენჭი, — წამოიძახა ვიღამაც.

— კენჭი კენჭი, კენჭი! — იყვირეს ერთად  
უყარეს და ამ „ყრიდნ“ გამოვიდა ქალიშვილი ისა.

აქედან, ბ-ნო ეშმაკო, მე, რა თქმა უნდა, არ  
მინდა გამოიყანო ისეთი დასკვნა, თითქო მე მტე-  
რი ვიყო ქალიშვილისა იმის და საზოგადოდ — ქა-  
ლებისა ამბობენ — ქალები ჯოჯოხეთის მოდგმისანი  
არიან თუ ეს ასეა, აბა ეს რა უნდა მქონდეს მა-  
თი საწინააღმდეგო! არც იმის წინააღმდეგი ვარ-  
რომ სასკოლო კომისიამ ასე მშვენიერათ დაასრუ-  
ლო საქმე ესე. სამწუხარო ჩვენთვის, ეშმაკებისა-  
თვის ის იქნებოდა საქმე რომ ღირსეულთ დაესრულე-  
ბინათ. ჴო და რაი ეშმაკერათ და ჯოჯოხეთურათ  
დაასრულეს, ჩვენც ვუსურვოთ მათ შემდეგრი ასეთი  
საჯოჯოხეთო მოღვაწეობა სასახელოთ მათდა და  
ყოველთა ეშმაკთა

შემდეგისათვის თქვენი ყურადღება მსურს შე-  
ვაჩერო ქალაქის სკოლების ერთ-ერთ მასწავლებლის  
მოხსენებაზე, რომელიც მან სასკოლო კომისიას წა-  
რუდგინა და რომლითაც ენერგიულათ მოითხოვა  
ქართული ენის სკოლიდან... გაძვება კი არა. ჩვენებურად გაფართოება და არა ეშმაკთა ენით კი  
— შეკვეცა. ამა ვაჟისათვის აქედანვე დაიკვეთეთ დი-  
დი ორდენი, რომ ჩარიზე მომაწოდოთ მისთვის გა-  
დასაცემათ

კვინწარი.



## ყ ვ ა ვ ს .

ტყე გაძრცვნილა.

ცივი ქარი

ჰკივს, გოდებს,

შესაზარი.

სის წვეროზე

გადმომჯდარი

სწივის ყვავი.

გლოვის ზარი  
ეფინება  
მისი არეს  
და მიდამოს,  
ვით სამარეს,  
დასტირის ის,  
სტირის მწარეთ,  
თითქოს იყოს  
მგლოვიარეთ.

ყვავო! დაჰკაძ  
გლოვის ჩანგზე.  
ქვით უტკბესი  
მაგ შენს ჰანგზე

დღოულია  
 მღერა შენი,  
 ქარის კვნესით  
 დანამშევენი;  
  
 გენაცელე  
 ყარყრანტოში,  
 რა კარგი ხარ  
 ამ მკედარ დღოში!...

## 6. ചൗമല്ലേതേലം.



„පරාලිත දැස්ජිලු“

67

## မုတေသနမြိုင် „ပေါ်လျှော့စွဲ“

ჩვენში ხშირათ გაიღონებთ უცხო მოსაზრებას, თითქო ქართული სიტყვა-კაზბელი მწერლობა და- ქვეითებული იყოს, თითქო ქართულ პროზას დღეს ვეღარავინ კაზმავდეს ისე, როგორც ამას ჩვენი ახლო წინაპრები შევბიდენ.

სრული სიკრუეა!

ჩენების აზრით ასეთი შეხედულობა გამომდინარეობს ახლა ახალგაზრდა მწერალთა (პროზაიკთა) არ ცოლისაგან, მათგანი უყურადღებობისაგან, მათი ნიჭის აბურიდ აგდებისაგან და სხვა ამგვარებისაგან. მაგალითი თვალშინ გვიდგას და მეც ვეცდები ეს დაუმსახურებელი აზრი შესახებ ჩენთა მწერალთა უკუ ვაქციო სიცრუეთა შორის.

三. 七〇六〇九〇

ତନ୍ତ୍ରେଣିଲୋ ଶାଶ୍ଵତାକୁମାର ଉଚ୍ଚୟ ପ୍ରସାରିଯାଏ ।  
ଜ୍ଞାନ ମାର୍କର ଗ୍ରାହି ଆବଳଗାଥରଦା ମଧ୍ୟରେଣିଲୋ  
ଦ୍ୱାକ୍ଷବାଦେଶୀ ମୁଖ୍ୟତ୍ୱରେଣିଲୋ । ଶାନ୍ତିରେଣିଲୋ ପାତ୍ରିଗୀରୁମ୍ଭାସ ଏବଂ  
ଅଳ୍ପବିନ୍ଦି ଅମିତରୁମ୍ଭାପ ପାତ୍ରିଗୁରୁମ୍ଭାଲୁଣି ଗ୍ରବୀ ଆୟାକି ଶ୍ରୀ-  
ରୂପତାନ୍ତିଲୋକା ଆବଳଗାଥରଦା ମଧ୍ୟରେଣିଲୋ ରଙ୍ଗଭିନ୍ନ ଅଳ୍ପିନ୍ଦନ  
ତାଙ୍କିଲୋ ସାମାଜିକରୁକୁ ଶିଙ୍ଗନ୍ତିକ୍ଷେତ୍ରେ । ତାଙ୍କିଲୋ ଏବଂ ଦେଖିଲୋମି ।

ლავრ. წერეთლის წიგნაკს, როგორც ზემორე  
ალენიშველ, ეწოდება ჩინგბული სახელი:  
„ბრძალოთ თასჯილნი.“

„უბრალოთ დასჯილნი.“

„ ჰატივცემული გმირი ლ. წერეთლის მოთხრო-  
ბისა ბ-ნი ლევანი თავშივე გვაცნობს ერთ მოსაწონ  
ქართულ ანდაზას: „რაც მოგივა დაეითაო, ყველა

<sup>1)</sup> რა თქმა უნდა სულიერი საგანი!

შენი თავითაო“ და ამგვარათ ამ პატარა წერილის ავტორს, თქვენს მონა — მორჩილ „ისტორიკოსის“ ანთავისუფლებს ყოველგვერი პასუხისმგებლობისაგან ლავრენტი წერეთლის ჭინაშე.

მოთხრობა ლავრ. წერეთლისა შექნება ქუ თასის ცხოვრებას და ძევს ასე, თუ ისე პუბლი ცისტური ხსიათი არა ნაკლები კურადღება აქვს მიქცეული იგრეთვე ზნეობის<sup>2)</sup> ქადგებას და სარწმუნოებრივ საკითხებას.


მოთხრობის უმთავრესი გმირები არან; ლევანი (რომელიც გადმოგვებულის ავტორის მოსაზრებას) ვასი ჰეტროვიჩი, (რომელიც მოწავებრივის მოთხმანებით ყურს უჩდებს ლევანს) შაქრო, (რომლის

ოჯახშიც ცხოვრობს ლევანი და რომელსაც ყავს ცოლშეილი) საბალოსნო სკოლის გამე (რომელმაც კინალამ დაიკირა შაქროს ძროხა). და შაქროს ძროხა (რომელიც კინალამ დაიკირეს ბალში)

უნდა გამოგიტადეთ, რომ ავტორის სიმპატია უძალერესათ ლევანისა და შაქროს ძროხისკენ არის, რის გმოც ასეთი სათუთი გრძნობებით ეპრობა ერთსაც და მეორესაც.

— კაცი, რა დაემართა ჩვენს შაქროს, მოწყენილი რომ დადის?

ასე ეკითხებოდა ვასილ ჰეტროვიჩი ლევანს,  
— ბატონი, თუ კლუბში არ მიგეჩარება დაბ-



სანიაზურ რაზმი ცეცხლის მართველთა ქ. თვილისში.


ძანდი და მოგიყობი. უბასუხა ლევანში.

აქ ლევანი იწყებს „მოკლეთ“ ლაპარაკს, რაიცა ჩვენს მწერალს ერთობ გრძლაზ გამოსვლია, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ შათას სიტყვები: „გრძელი სიტყვა მოკლეთ ითქმის, შაირია ამა ქარგრ.“ ა. ლე

<sup>2)</sup> როტორც საჭრენო წყაროებიდან გავიგეთ, ეს მოთხრობა უკეთ გადაუთარებით გრძელობურ ენაზე, როგორც საუკეთესო ნაწარმობი ზნეობრივ საკითხების დარგში. იმათვარ ალბათ ყველა აფრიკის ველური ტომები ისრეგიბლებენ.

ვანშა უაშშო ვასილ ჰეტროვიჩს, თუ როგორ ჩამოვიდა ის ქალაქში და როგორ დაბინავდა შაქროს სახლში, როგორ მიირთმევდა ხოლმე ვახშამს, როგორ უგდებდა ყურს შაქროს უწმაწურ სიტყვებს. ლაპარაკობდენ ბინძურს სიტყვებს, რომ თავი სამიუიტნოში გეგონებოდა. მე კი, როგორც ახალგაზრდა, ხან ვიცინოდი იმათ სისულელეზე, ხან გაჩუმებული ვიყავი; ვერაფერს ვამბობდი, რადგან ზრდილობა<sup>3)</sup> ამას მოითხოვდა“.

<sup>3)</sup> ცხადია გორენტორებსაც იმიტომ მოსწონთ ჩვენი ახალგაზრდა ავტორის მორალი, რომ მოითხოვს საზიზღრობის მოსმენის დროს სიჩუმე არ დაზღვიოთ.



19 თებერვლის შანთექსოდ წაგითხეა ქ. თელავი. 1864 წ. 8 ნოემბერს.

ქვევით ბ-ნი ლევანი უფრო ვრცლათ ანვითა-  
რებს თავის „შეხედულებას „ხათრისა და ზნების“  
შესახებ და მბობს:

— ხათრითაა, ჩემო ვასილ პეტროვიჩ, რომ  
ახალგაზრდა ეჩვევა სიგლახეს. მაგალითად წვეულე-  
ბაში იციან: თუ ხათრი გაქვს ეგ ერთი კადევ გა-  
მოსცალე და მეტს აღარ დაგამალებთო. ამასობაში  
გამოათრობენ გამოუცდელ ყაზვილს ლოთები, მე-  
რე მიყავთ როსკი ქალებთან და იხრწნება ზნებით  
ნორჩი არსება. ზოგჯერ უფროსები სისულელეს ლა-  
პარაკობენ. უმცროსს არ მოსწონს ეს მათი ლაპა-  
რაკი, მაგრამ ვერაფერს უუბნება, რადგან ძველებუ-  
რათ, მამი-პაპილანვე ჩანერგილი გვაქვს გულში: უფ-  
როსმა რაც ქნას, უმცროსს ნება არა აქვს გაუსწო-  
როს. ამას მოთხოვს ზრდილობა. <sup>4)</sup>)

შემდეგ ბ-ნი ლევანი გამოსთქვამს თავის პა-  
ტიცემულსა და მამა-პაპათაგან დაკურთხებულ აზრს  
სასწავლებლების შესახებ. <sup>5)</sup>)

— ვფიქრობი, თუ როგორ ირყნებიან ბავ-  
შვები ცუდი მშობლების ხელში და როგორ ათახ-  
სირებენ სრულიად უმანქო ბავშვებს სასწავლებელ-  
ში. მშობლები კი შვილების გარყვნას სასწავლე-  
ბელს აბრალებენ. ბევრჯერ გამიგონია სულ უბრა-  
ლო კაცისაგან: „ახლანდელი სასწავლებლებიდან  
მოწაფებებს კი არა, თხებს უშვებენო“ <sup>6)</sup>) მე კი რომ  
მკითხოთ, თხები ახლანდელი ოჯახებიდან გამოდი  
ან, შედიან სკოლაში <sup>7)</sup>)და იქ სხვა თხებს აფუჭებენ.

კიდევ ცოტა ქვემოთ ბ-ნი ლევანი, ეს ზნერ-  
ბის მოღალადე გმირი მოთხოვინისა, ამტკიცებს, რომ  
ასეთი აზრის გავრცელებას ხელს უწყობს მოსწავლე-  
თა ფორმის ტანისამის:

— როცა მოწაფეს ცუდ ყოფაქცევას შენიშ-  
ნავენ, მაშინვე იცითხავნ: „რომელი სასწავლებლის  
მოწაფეაო“. ასე ჩემო ბატონო, ყველია ბოვშვი იბა.  
დება უმანქო და უცოდინარი <sup>8)</sup> სამაგიეროთ რა

<sup>4)</sup> ეპეს გარეშე, როცა ბ-ნი ლაგრ. წერეთელი თავის  
მოთხოვინასა სწერდა ამ მამა-პაპათაგან ნანდერდევი ჩვეულე-  
ბის იმედით სწერდა: უფროსი კაცი ვარ და რაც უნდა ვთქ-  
ვა უთუოდ მომწონებუნო. არც შემდარა!

<sup>5)</sup> ავტორი წიგნისა მასწავლებლოთ მანათესავე ტი-  
პათ ჩაითლება და ცხადია ქმის საგანი!

<sup>6)</sup> უკულმაზოთ ასეთი მოსაზრები ა იქიდანაც მტ-  
კიცილება, რომ ავტორი „ურალო დასჯილთა“ ბ-ნი ლ.  
წერეთელი ჯერაც არ გამოუშევა სასწავლებლიდან.

ეშმაკი.

<sup>7)</sup> არ იფიქროთ, ვითომ ბ-ნი ავტორი სკოლაში თხე-  
ბსა წერთნიდეს ვვონებთ ის მხოლოდ გალობას ასწავლის  
და ხმა ხომ თხებს ჩინებული აქვთ?


<sup>8)</sup> აბა ამას სხვა ვინ მიხვდებოდა?

წრეშიაც აღიზრდება, იმის ზე ჩვეულებას შეითვი-  
სებს, სწორეთ ისე, როგორც წყალი მიიღებს იმ  
ჭურჭლის ფერს, რა ფერის ჭურჭლშიაც მას ჩა-  
ხამთ“ <sup>9)</sup> )

ერთი სიტყვით ბ-ნი ლევან ლავრენტის-ძე მი-  
დის იმ დასკვნამდე, რომ: „სასწავლებელი აძლევს  
მარტო გონების მასალას“ <sup>10)</sup> ) და რაიცა შეეხება სხვას.  
ეს ყოველივე დედ—მამის საქმეა.

შემდგომათ ამისა ლევანი ბოდიში იხდის ვა-  
სილის წინაშე სიტყვის გაგრძელებისათვის და  
არ შემიძლია მეც არ მივგაძი მის მაგალითს. მაშ  
მოიკრიბეთ მოთმინება შემდევ ნომრამდი, სადაც  
აღნუსხული იქნება ავტორის აზრი აგიტატორების,  
და პროპაგანდისტების შესახებ.

ისტორიკოსი.



1 მარტიდან ქალაქ თფილისში გამოვა ყო-  
ველდღიური სამეცნიერო-საპოლიტიკო-სალიტერა-  
ტურ გაზეთი

## ა ხ ა ლ ი ს ა ქ მ ე

რედაქტორის დროებითი ადრესი: ილია ილიაშვილი  
პრ. თიპოგრაფია ქართველი სამართლის მიერ გა-  
მოიყენება (მანათესავე ტანისამისი).

<sup>9)</sup> წარმოიდგინეთ ასეთი მეცნიერება! მაგალითად წყა-  
ლი რომ გრაფინგაში ჩავასხათ, უთუოდ გრაფინგის ფერს მი-  
იღებს, თუმცა ასეთი ფერი ჯერ გამოკვლეული არ არის. ან  
თუნდა წყალი რომ წითელ ლიტრაში ჩავასხათ, მაშინვე გა-  
წითლდება. ეს გამარტინი გამოკვლეული მეცნიერებსა-  
უთუოდ ძლიერ ეცულებათ.

<sup>10)</sup> აბათ წმინდა მეცნიერულ მასალას ჭურჭლის მიერ  
წყლის გაფეროვნების შესახებ.

## Ժ Ա Ր Ե Ջ Բ .

մարտալուս, յըտեղը յողոն  
մոմիարշա հիմիցը քծոլու,  
մագրամ „պըլո վաս ջայպա“:  
առ մը դաշրիկ յիշոնձ հծոնու!  
գալութիւննա, դայուլունց ..  
դա ցատազւա ամուտ ծրմունա.  
ելուս առ մուլումն, զուր յողոն  
հիմուտանա մույրուս կոլու .\*)  
տումբա, զուրու միան յիշուց  
լունմն ալունա պէտուրուտ մարու,  
մագրամ յողոնս աճամուս եց  
սխոնիս, հոցորու մյօմարու.  
Մյըսամուսա, յողոնմ յելուպ  
մը Շահաւա դամունցնուս,  
մագրամ, աճ, հաս դաշրէն,  
համունուս սյունս, ոծնոյունուս...

—  
տիշը յո մոմինանց սուրպա,  
սաելուս յիշու համուս,  
ոյնք այշը չմանուց քոյզուտ,  
տու նոյն Շեցիշընը ամուս.  
Կայրնիս մուսու ծուզը,  
միշտիշը մուսու բաշտու, \*\*)  
զոն առ ուրու ցամունա:  
„մնուտ ազուր, մտացուրուտ դաշրգո?..  
մաս տաշուն այշը ալմասուս,  
ցրտա-չյեցուրուս, մոնահնահնուս;  
մտաշուն լամբ շոյարս,  
յիշունս մյերագ վարուս;  
ուս գրանցու գունուս ամունուս,  
սաեց շինունցն, հուս ունունցն,  
տումբ ալյուրուսն սյունու եզզա.  
Ըստ ժայռուտ սրուագ մուսուս,  
տումբ առ ցունու սուրպաս ծուլու  
դա, մյուտեցուրու, Շեն ցամալուն:  
մուսկրա լա մունս ցամուսիրունու!  
տացու, բանու, ելունի Շեցիշը,  
արագ ցոնդա մուսու կուզու

\*) ոյուշիւնը: ռնուսումը  
գուզու արաւու ծրմունա.

\*\*) զա մեծունու, ռնուսումը,  
աթ անդանաս հատ դաստիո?  
սաեցնու տու ու « հմա» ցունու  
« պոնցուս», հալում ցամաշիո

յողոն.  
յողոն.

դա հուսա յս մոսցահրու,  
կվլուզ Շահաւաս մուպիրունու.  
Կուրհյուլ մույնահրուտ Շորուս  
մոմինանց տիշըն ու, յիշու,  
(յանա դաշտունատ մուսահրու,  
առ դալութիւնու, տու ցիշմու լմերու.)

Կարտունու տույսեն դա հուսետնու.  
մուտ ցլուքս շինցըս տացուս հիշնա,  
„ինընդանըն“ յո ևեանց մյունու  
այցս մուսան համուհինա.

Կարդանու յիշունձ սատունա,  
յունունա մուսու լուրու:  
ոյնու-կյուտ հեցաս ունցըն,  
ողնազ, սյունու Շյուպյուրու.

մացուրագ յուլաշյունուտ  
նայենու մուսու հշուլուն...  
(ատասունու դաշտմունց,  
տու գասկուրու սյուսագ գյուլու).

Դա աճա, հիշնը մուսու սաելուս  
հոցուր ցամունուտ համուլուն?  
ցորու մյուտեցուրումա ցամերունու  
մաս շուլցանց ելուս ելունա!

Մեռունուտ ինունու մուսու, Տուրցուն  
սուրպաս նախունս մույտացյունու  
դա Շահաւաս հուս ցույլունա,  
մուսերունունու մուտ Շյուպյունու...

ցամացեցունուս գասկունունու  
մաս ուրուս մեցնցահրունա...

զոն լամիշունուս սացույտնու,  
ոռուրու մուսու ցյամունա!

Օլուր Ցոցաս օլուրացյուրու:  
արց մարուս, մուս դա ծահսա  
սյուն Վալույաս ցմշիրունա.  
մույրու մուսուգա ոցու յարսա!

մը առ զուր զոնմը ացու,  
տացունանց շոյրու ունու:  
հա « շոյրու» մշուտանսա!  
մաս Շյումըս մուսու կուզու.

Տումբա յիշունու մյու տացունաւ  
ցյուտենեցն, շոյւունուտ:  
ցունունու հաւլունու, յշուտանս  
տացու մուսունուս ելունահրուտ!

Տույունուսնու յո լմերումա նու յնաս,  
հում ցամերունուս մուսու սաեց:  
շոյրու մուսու մյշինու, —  
առ Վարտանաս ցմայս „մակը“!.. \*\*\*)

ռնուսումց.

\*\*\* ) մարտունու ցը Շահաւա  
յահրատ արուս Շյունցըրու,  
մացրամ, նու տու ու սաելու  
այց արուս գասկուրու?

յողոն.

## ს ი მ ღ ე რ ა

## I

შემოდგომა ტახტზე დაჯდა,  
შეკრთა მთა და შეკრთა ბარი,  
ტყე აკენესდა, აქვითინდა,,  
ზეცას მოწყდა ცრემლთა ლვარი.  
ომ, ნუ კვნესი, ნუ, ბუნებავ,  
გაიძაგრე, ვით კლდე, გული:  
სულსა დალევს ეს შავი დრო,  
კვლავ დადგება გაზაფხული!

## II

გულსა მოხვდა ტანჯვის სუსხი,  
კაეშნა ფრთა გაშალა  
და აკენესდა მწარეთ სული,  
ცრემლათ დადნა, დაიცალა.  
ომ, ნუ კვნესი, ნუ, ჩაგრულო,  
შორს გასტყორცნე სევდა კრული:  
სულსა დალევს ტანჯვის ხანა  
და, გეწვევა სიხარული! \*)

ვ რუხაძე.



## მესტვირული.

— —

(ქარდასახის: თვის)

შენი ჭირიმე ეშმაქო,  
ჭირიმე შენი მახისა,  
იქნებ არ იცი ამბავი  
შენ ჩვენი კარდანახისა?!

სულო და გულო რა გინდა  
რომ აქ არ მოინხვისა.

იქნება მახე გენანვის,  
მაშ მანდვე შენი სტვირია,  
დაგილილინებ უცილოდ

\*) ეს ლექსი შემოდგომაზე უნდა დაბეჭდილიყო, მაგ-  
რამ რაღაც მაშინ შურნალის გამოცემა შეჩრდა, ახლა  
გმებდავთ.

ეშმაკი.

რაც გვადგა გასაჭირია!  
ვინც არის ჩვენში საჭები  
მამასახლისი, გზირია.  
ვისგან, არიან გლეხები  
ანაცრებმლ ანატირია,  
ამ წინა ხანად კარდანას  
ეწვია შუამაგალი,  
გურჯაანილან მობრძანდა  
შორით არ იყო მავალი.  
მის დასახვედრას ხალხიცა  
შეგროვილიყო მრავალი.

მან გვითხრა: „მამასახლისსა  
მიეცით ჯამაგირიო,  
მუქთათ რათ გემსახურებათ  
მურალი, თუნდა გზირიო,  
ჯამაგირიანს, იცოდეთ,  
თქვესკენ ექნება პირიო,  
აღარ აიღებს „პრაგონსა“  
აგცდებათ გასაჭირიო.

მსამოცდა ათი თუმანი  
იეცით „სტარშინასაო“  
აქედან ათი თუმანი  
ექნება „კანდიდატსაო“  
და მერწმუნებით შეიღები,  
აჯობებს ძველებურსაო  
არც ბეჭდის ფულებს აიღებს  
კარგათაც გრგდებთ ყურსაო“  
შუამაგალი, სიტყვები  
მარგალიტვით სცვიოდა,  
მამასახლისსაც, იდუმალ;  
პირს ლიმი მოუდიოდა,  
ზოგ-ზოგი გლეხკაცთაგანი  
„კარგი, კარგიო „ჰეიოდა  
ზოგ-ზოგს კი, ცრემლი მდუღარე  
ღაწვებზე ჩამოსდიოდა.

კარგანაცლი



## ღ ე ჸ ე შ ე ბ ო .

**სამტრედია.** მაძებართა რაზმი დღიან ღამია-  
ნათ ექებს ადგილობრივ კორესპონდენტს „ეშმაკის  
მახისას“, ცდა ამაოა.

**იქიდანვე.** სტატისტიკური ცნობების მიხედ-  
ვით, ერთი კვირა გადის, რაც სამ ტრედიის ბაზარში  
და არც მის ახლო-მახლო არავინ გალაზულა. ხალ-  
ხი განცვიფრებულია.

**აბაზა.** (სამეცნიერო) ჩვენს სამკითხველოში  
უურნალ გაზეთებს ახალი, უკურნებელი სენი, „ხი-  
რუა“, გაუჩნდა ჯერჯერობით მუსრი გაავლო თით-  
ქმის ცველას. წარმოიდგინეთ „ეშმაკის მახესაც“ ერა-  
ნება.

**იქიდანვე.** ინტენდანტები არა გვყვანან, მაგ-  
რამ ოცი ცალი უვარგისი ფქვილი, მანც მოპარეს  
ადგილობრივ სანიტარულ კომისიას და გაყიდეს  
ცხადია, აქ ვირთხებს უძვეთ წილი და მათ მოსპო-  
ბას უნდა შეეწიროს ჩვენი ენერგია.

**დარკვეთი.** ერთი იმ ღორთაგანი, რომელნიც  
სამხედრო წესების გამო გაძვებულ იქმნენ საჩერის  
გუბერნიიდან, შემოხიზნა დარკვეთის სადგურს, მაგ-  
რამ დასხეთ უბედობას: თურმე აქაც სამხედრო წესე-  
ბი გამუცხადება რკინის გზის მოხელეს. მან წინა-  
დადება მისცა არა საიმედო ღორთა, მისი საბძრანებე-  
ბელიდან გასულიყო, და რაკი ურჩმა ცხოველმა ეს  
არ შეასრულა, სიკვდილით დასჯილ იქმა.

**იქიდანვე.** ტყუილია ის ცნობა, თოთქო ანდრეი  
ვასილის ალავერდის ქარხნიდან მოსულ ბერძენ მუ-  
შისათვის ეცემოს. განა ცველა ცემას ცემა ჰქვია?

**თფილისის რკ. გზ. სახელოსნო.** როგორც  
დაუინებით ამბობენ, ახლო მომავალში მუშებს ჯამა-  
გირი გაუკრეცელდება და თუ ეს გამართლდა, მაშინ  
ცმედია ახლად შემოლებული ჯარჯმების გასწორების  
შემდევ პურის ფული მანც გადავვრჩება.

### დიდი-ჯისაიზის ვითარება

(გარ ვუის ხმაზე)

ვაჭრები გვყავს შეგნებული—  
ჩითი მოაქვთ სულ დამპალი,  
ფასს ილებენ ერთი ორათ  
ვაი ჩვენი სოფლის ბრალი!

—:

მმარსა კაზმავს „სახარინით“  
აქაური მოკიტანი—  
და, ეშმაკო გევედრებით  
აუჭრელო ზურგის კანი!

—:

ლევანისა ქარვასლაში  
მუდამ ხტიან კამათლები,  
იქ ფულები, შინ ბავშვები  
მშიერი და ფეხშიშვლები!

—:

ახალგაზრდა პესტალოციებს  
შეუყვარდათ ერთობ ლვინო,  
რა უშველის მათ არ ვიტი:  
მათრახი თუ, კოხტა ნინო!

—:

ბესარიონ ჩომახიდე  
თავის კანში ვერ ეტევა,  
გაახარებს ჯიხაიშლებს  
ცუდი თუ რამ შეემთხვევა!

—:

აქ აფთიაქს მიესიენ  
ლილოპუტნი, არ კაცები—  
და ამბობენ დათიკ-ბესოს  
ბევრი ყავსო დამქაშები!

ერი ბერი, მატყუარა  
მკითხავი და ჩარჩ-ბაცაცა,  
დათიკოსან გაგდებულ ძვალს  
მივარდა და ხელი სტაცა!

მათი ღრენა უსუსური  
ამ ხაქმეს ვერ შეაფერხებს,  
იმათ ნალვაჭს კუდა მელურს  
მომავალი განაქიქებს!

—:

თოვლი აძევს ამა მხარეს  
ორ არშინზე კიდევ მეტი—  
სად არის ან რას აკეთებს  
ქსენონისა კომიტეტი?!

„რკოგნიცი“



# მ ა მ ა კ ი ს შ ა ხ ე

## გ უ დ ი ს პ ე ნ.

პიესა ოთხ მოქმედება  
და ხუთ სურათად.

ვ. მალაქიაშვილი.

### გამოსცლა IV.

პეპ. (ნერუ და ჰეპლი) დაგავი! მიბრძანა! შენ  
დაგავი თუ კარგია!

ნუნუ. რას გავს ეს პეპლა? მაგრე როგორ  
შეიძლება? რაც სათქმელი გაქვს, პირში უნდა უთხრა...  
პეპ. დაანებე კეყუის სწავლებას თავი! (ჰაუზა).

ნუნუ. ხა... ხა... ხა... ჩემი წინადაღების  
საქმე როგორ მოგწონს? ხა... ხა... ხა...

პეპ. მაგრეც უნდა მომხდარიყო.

ნუნუ. რათა?

პეპ. რათა და მათა! დაიახლოვე, უცინი,  
თვალში უვარდები და რასაკირველია ყველაფერს  
იფიქრებდა. ღირსეულათ დაიკავე თავი და ვერც  
გაგიბედას მაგისანებს...

ნუნუ. რაფერ ღირსეულათ უნდა დავკავო  
თავი, რო არ ვაცა! მე ყველას მაგრე ვექცევი... აბა  
როგორ... ვიღაც ბიჭებურია!

პეპ. არი ლექსი რო დასწერა, ესე გონია ქვეყანა  
მისა... და კიდეც მოგცა წინადაღება. მეც ნახირ-  
ნახირო, რაღა!

ნუნუ. მომცა თვარა-მისმა სიცოცხლემ გამოი-  
რება არ დაჭირდება!... საწყალი ბიჭი!.. ჩემი ქმრო-  
ბა მოინდომა... ხა... ხა... ხა... თვითონ შიმშილით  
კვდება და მე მარჩენს?..

პეპ. გონირარით გარჩენს, მისმა სიცოცხლემ,  
გონირარით.

ნუნუ. ხა... ხა... ხა... ქართველი პოეტი და  
გონირარი!.. სად თეკლე და სად ერეკლე!.. (ჰილა  
რის)

პეპ. (გადის და გარებს ადგის) ომ! თქვენა?  
მობრძანდით, მობრძანდით!. (შემოკლებ ვლადიმერი  
და გერასიმე.)

### გამოსცლა V.

(იგანივე, გერა ამე და ვლადიმერი).

ნუნუ. მობრძანდით, მობრძანდით.

გერას. (გამოსანჯული სტუდენტის ტანისამთხვეთი)  
გეახლებით... პირველ ყოვლისა სალამი!

ვლად. სალამი... (ესალიერან ერთმანეთს)

გერას. სხვა როგორ გიკითხოთ ქალბატონო?

ნუნუ გმაღლობათ. თქვენგან მოძულებულს  
გვიდგინ სული. (იცინის)

გერას. (დამიაღით) გინა დაგეტყოთ უჩემობა?  
ბედინერი ვარ.

ნუნუ. ჰმ!.. თქვენ მგონი სილოგიზმების თხზ-

ვიც კი გცოლნიათ...

ვლად. იცის და მეტი არა?

პეპ. ეტყობა.

ვლად. მაშ ტყვილათ კი არა მათემატიკოსი!..

თუ გნებავთ ეხლავ ინტეგრალურათ გამოგინგარი.  
შებთ, ან კიდევ დიფერენციალურათ. (საერთო სი-  
ცილია. ჰაუზა)

გერას. სხვა, ახალს რას იტყვით?

ნუნუ. თქვენ შემოდით და ახალიც თქვენ უნ-  
და მოიტანოთ რამ.

პეპ. მართალია:

ვლად. დამიტორი სალამი?

პეპ. რედაქტორიაშია

გერას. (ამაგათ) როგორა სიქვით?

პეპ. რედაქტორიაში.

გერას. ხა... ხა... ხა... როგორ განლიდებით  
ამბობთ რედაქტორი ხა... ხა... ხა... უფრო მარ-  
თალი იქნება, რომა სთქვათ ქუჩაშიო. განა ქარ-  
თულ რედაქტორის რედაქტორი ეწოდება?

პეპ. რისთვის არა?

გერას. (იცინის; როგორ კითხულობთ? მაგგვარ  
შენობაში და ოთხებში რედაქტორი!?) აი თქვენ უნ-  
და ნახოთ რუსეთის რედაქტორი და მაშინ იტყვით!  
ან კიდევ საზღვარგ რეთ ვეებერთელა სახლები,  
ეტაჟები, უფალავი ოთხები... ჩენში კი ორი წაქ-  
ცეული სტოლი, სამუქება, დაღანკალებული სკამი...  
და „რედაქტორის“ .. ეძახიან. . სასაკილოა...

ვლად. იქ ჰუმანიტე—ფორენტისი და აქ...  
(იცინი 6)

გერას. იქ უორეს—კაუციკები და აქ... (იცინი 6)  
ვინ წიწვინის მარქსა და ენგელსა?

ვლად. ასეთია ირონია ისტორიისა.

ნუნუ. ბატონებო, ეს ცინიზმია.

პეპ. არ გეებადებათ. თქვენც ხომ. .

გერას. (აშევატინება) დიახ ვიცი რასაც იტყ-  
ვით! მარა თუ ჩენები ზოგიერთში არ მოგვწონს  
ამით იმას არ ვამბობთ, რომ ეს მოძღვრება დასაგ-  
მობია .. თუმც არც ის ითქმის რომ, დროის მიხე-  
დვით შესწორება ..

პეპ. თქვენ როგორც გატყობთ...

გერას. კარგი თუ ღმერთი გწამთ, პეპელა!  
ძველებულ ლაპარაკს ნუ წამომიწყებთ! აბა თქვენ

თვითონ სთქით: განა ჩვენი უურნალისტები...

**ნუნუ** ეპე! ეხლა უურნალისტებსაც წვდით?

**გერას** ოო! უკაცრავაო, განა გეწყინაო? მე ვიმასხრე, თორემ ჩვენს უურნალისტებზე უუდი.. როგორ ..

**პეპ** რაღაც ბევრი ირონია გამოსჭვივის თქვენს სიტყვებში! .

**ნუნუ.** (ირთნით) სულ ორი წელიწადია, რაც საქართველოს გაშორდით და ასე... შეგიცვლიათ ჩვენებზე შეხედულობა. მანამდე კი მათთან იყავით... მათი გრწმდათ ცველაფერი...

**ვლად.** კარგით, თუ ღმერთი გწამთ, დაანებეთ მაგ ლაპარაკს თავი, თორემ ისე ვატყობ, ერთმანეთს აწყენინებთ ..

**გერას.** (ცოტაო შერცხეუნილი) გეთანხმები, ამ-ხანავო, ვლადიმერ. (ჰაუზა)

**ვლად.** ქნო ნინა, გუშინ სასეირნოთ რათ არ ბრძანდებოდით?

**ნუნუ.** სცდებით, ვიყავი.

**ვლად.** როგორ? განა მე ვერ დაგინახეთ?

**ნუნუ** თქვენ ისე იყავით თქვენი დამებით გა-ტაცებული. რომ...

**გერას** აა, შეილლასან? სხესა კი ესაყვედურები?

**პეპ.** მეღა ნუნუ ერთად ვიყავით, ვაზტანგი გვა-ხლდა.

**ვლად.** ღმერთს გეფიცებით მე არ დამინახავ-სართ! . არა...

**ნუნუ** რაზე შეკრთით? ჩვენ ხომ რაიმეში არ გამტყუნებთ ..

**გერას** მე კი გუშინდელი სეირნობა დამეკრ-გა თქვენ წირმოდეგინეთ თმელი დღე კარტს ვთა-მაშობდით... განა ვახტანგს არ უთქვესმს? ისიც ჩემ-თან რყო..

**ნუნუ.** ორა, არაფერიც არ უთქვამს.

**გერას.** რა შეილლია ჩემს თავს მოგავინებდათ!

**ნუნუ.** (თრჭითული დიშილით) თქვენ ისეც გვახსოვდით.

**გერას** განა? როგორ დავიჯერო?.. რა ბედ-ნიერი ვარ!. რაბედნიერი!..

**პეპ.** სწორეთ... სწორეთ

**ნუნუ.** ეს რა წიგნი გაქვთ ამხ. ტანებაშიანი (ართმევს და შდის) ოპო! ეს სახელმძღვანელო ყო-ფილი! ხო, მართლა, თქვენ ხომ სიმწიფის ატეს-ტატზე ემზადებით. როდის მიხვალთ ეგზამენზე?

**ვლად.** თუ მოვახერხე და კეთილსაიმედობის მოწმობა ავიდე; შაისში.

**ნუნუ.** ერთს სიტყვით „ლეგალობა“ გინდათ! (შდის) კარგია, უი, ეს რა სურათია!? (გააგდებს წიგნს. დარცხეუნილი ვლადიმერი უცებ წამოიჭრება )

**ვლად** უკაცრავათ .. უკაცრავათ! . (წიგნს იდებს)

**პეპ.** რა იყო? უთუოდ პორნოგრაფიული სუ-რათია

**გერას.** (იცინის) რა ეშმაკია ჩვენი ლადიმერი.. ხა.. ხა.. ხა ..

**ვლად** არა ღმერთმანი . არა... მე განგებ არ მიქნია, არა .. გერასიმესი იყო .

**გერას.** ხა .. ხა.. ხა... „არ მოველოდი ღო-ლოსო, დამიხვდა სოფლის ბოლოსო“... რა ღროს დაიღუპე, რა ღროს! ხა... ხა... ხა...

**ნუნუ.** თრჭითული ზეზდით) ტფუ! მამა კაცე-ბისთანა გაფუქებულები თუ საღმე რამეა!..

**პეპ.** (ცხარობს) გარყენილები; რას ატარებენ! (ამ ეცინება.)

**ვლად** (დარცხეუნილის ღიღიღით) ჩემი არ იყო... ღმერთმანი.

**ნუნუ.** ვიცი რაც შვილები ხართ კაცები! მარა თუ თქვენც ასეთი იყავით არ...

**ვლად.** მე... მე... ღმერთს გეფტაცებით... ჩემი არაა...

**გერას.** (იცინის) არ დაუჯეროთ, მისია, მისი... (ვლადიმერი იძნება, ბერასიმეს დ ცინვა ბრაზის გვერის და ისე უცქერის თთქმა ზოწეულებას თხოვთ. ის გი იცინის! .

**ნუნუ.** კარგი ახლა, კმარა! (წენარდებიან ჰაუზა)

**პეპ.** ყმაწვილებო, იმედია ჩაიზე დაგვეპარი-უბით.

**გერას.** დიდის სიამოვნებით. (ვლადიმერი დარც-ხეუნილია ქვეშ ქვეშ კი იღიძება)

**ნუნუ.** (თავს იკავებს სიცილისაგან) თქვენ რას იტყვით, ამხანავო ვლადიმერ? (უკეთა სიცილის იმა გრუბს).

**ვლად.** რა უნდა ვსთქვა?! (უკეთა ერთად წას-ძება სიცილი. ნუნუ გარბის)

**პეპ.** მაშ, ეხლავ ჩაის მოგართმევთ... (გადას)

**გერას.** გმაღლობთ...

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ გამომცემელი

გაიოზ ჯაჭვაძე

1582  
1911

## — დიღ მარკევის —

პირველ ორ კვირას, თფუთულისის მაღაზიებში

# პ. ს. ძოროშნოვის

1) უმთავრეს მაღაზიაში  
სოლოლაკის ქუჩაზე სახლი გურგე-  
ნოვისა ტელეფონი № 583.

2) იაროსლავის მაღაზიაში  
შიხეილის პროსპექტზე ლიუტერანების  
საყდრის გვერდით ტელეფონი № 838.

ერველწლივ, ორგორც მიღებული გეგქეს, სამთრის სეჭონის გათავებისას,  
დანიშნულია ჩვეულებრივი

## სადიდმარხვო ორ-კვირიანი

# — უღიძესი იაფ-ფასიანი —

## გ ა ს ყ ი ღ ვ ა

დიდ-მარქის პირველი ორი კვირის განმავლობაში, 12 დღით, ე. ი. და  
26 და 28, თებერვალს და 1, 2, 3, 4, 5 მარტს.

ამ ორ-კვირიან უდიდეს იაფ ფასიან გასციდვაზედ ყველა სეცეკალურ განყოფილებაში სა-  
ერთოდ გადადებულია 300,000 მანეტის მეტი საქონი. რომელიც გაიყიდება  
განსაცერტებელი სიიაფით, ხოლო ზოგერთი საქონელი, რომელიც გ-  
მოფენილი იყო ხოლმე ფანჯრებში და გამოვიდა მოდიდან გაი-  
ყიდება **75%** ნაკლებ თავის ნამდვილ ფასებზე.

◆ გირჩევთ შემინოლო განსაკუთხებით იაფად დარჩეოლი ნარჩევი ◆

1) ტილოს და სპეციალურ ჩიუეულ  
განვოფილებაში:

20,000-ზე მეტი ნაკერი ტილოსი, ჩი-  
ოთბისა, საცვლებისათვის და სხვა ზღაპრულ  
იაფ ფასებში.

მაუდისა, საქალო ფლანელისა და სხვა მრა-  
ვალი, ყელა საზღაპრო იაფ ფასებში.

5) აბრეშუმის და შ:ლეულთა განყო-  
ფილებაზი

გაიყიდება 20,000-ზე მეტი დარჩენილი  
ნაკერი და კუპონები ყოველგვარ ქსოვილე-  
ბისა. წარსულ სეზონის დამზადებულ ტან-  
საცელების მოდელები გაიყიდება აგრეთვე  
ზღაპრულად იაფ ფასებში.

5) ფერად ბაზბეულ ქსოვილების  
განყოფილებაში

გაიყიდება 30,000-ზე მეტი ნაკერი და  
კუპონები, სატინა, ბატისტი, სატანისამოსო  
ქსოვილები, ოქსფორდი, სარფინკები, ფუ-  
ლიარები, მუსლინები, ფრანგული ტილოე-  
ბი, ყველა ზღაპრულად იაფ ფასებში

2) მზაობის განყოფილებაში

გაიყიდება 5000-ზე მეტი დარჩენილი  
ნაკერი ტრიკოსი, ლრეტისა, ლიონონალისა,  
ჩვენი მაღაზიების უშეელებელ ფანჯრებში გრძელებილია საქონელი უელა განუთვალებისა ზედ-ჭარჭერით

ზემოადნიშნულ იაფად გასუიდვის დღეებში გაჭრება ექნება დილის  $9\frac{1}{2}$  საათიდან უდრე დღის  $2\frac{1}{2}$  სა-  
ათმდის და  $4\frac{1}{2}$  საათიდან სადამას 6 $\frac{1}{2}$  საათაშიდის.

P. S. იაფ ფასებში გასუიდვად დანიშნული საქონელი ფას-დადებით არ გაიგზავნა.  
3. ს. დოროშნოვის.